13.08.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ინდივიდუალური მეწარმე "ირაკლი ტყებუჩავა"-ს (პ/ნ 62004005818), იურიდიული მისამართი საქართველო, ქობულეთი, წერეთლის ქ., N22.

ელ.ფოსტა. itkebuchava@inbox.ru

მობ: 595 01-06-25

№11652
"13" 08 2019
5/3

# სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ ინდივიდუალური მეწარმე "ირაკლი ტყებუჩავა"-ს (პ/ნ 62004005818), ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა №23-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 20.42.07.330, რომელიც წარმოადგენს მის საკუთრებას, რომლის ფრთობია 456 $m^2$, მასზე განლაგებული შენობაში გააჩნია პოლიეთილენის ფირების წარმოების საამქრო, რომელიც მუშაობს შემოტანილი პოლიეთილენის პირველად გრანულებზე. საწარმოს სიმძლავრეა 104 ტონა წელიწადში, ანუ 50 კგ/სთ-ში 8 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 260 სამუშაო დღით. აღნიშნული პროდუქციის წარმოებისას წარმოიქმნება წუნდებული პროდუქცია, რომლის მაქსიმალური რაოდენობა წელიწადში შეადგენს 15.6 ტონამდე. აღნიშნული ნარჩენები საწყობდება საწარმოა ტერიტორიაზე.

საწარმო ფუნქციონირებს 2017 წლიდან (GPS კოორდინატში X=731780.00; Y=4633515.00).

უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 50 მეტრით.

საწარმოში წარმოქმნილი წუნდებული ნარჩენების და ასევე შემოტანილი პოლიეთილენის ნარჩენების ბაზაზე (კოდებით: 07 02 13; 123 01 05; 15 01 02; 16 01 19; 17 02 03; 19 12 04; 20 01 39) დაიგეგმა პოლიეთილენის ფირების წარმოება სასაოფლო-სამეურნეო სავაგულებში გამოყენებისათვის. პოლიეთილენის ნარჩენების შემოტანა საწარმოში მოხდება საქართველოში სხვადასხვა საწარმოებებში წამოქმნილი პოლიეთილენის შესაფუთი და სხვა სახის ნარჩენების სახით, ასევე შესაძლებელია აღნიშნული ნარჩენების შემოტანა განხორციელდეს სხვა ქვეყნებიდან სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო კოდით: 3915. საწარმოში შემოტანილი ნარჩენები ისეთი სახით იქნება მიღებული, რომლებსაც გადამუშავებისას გარეცხვა არ ესაჭიროება.

აღნიშნული ნარჩენების გადამუშავებისათვის საწარმოში შემოტანილი იქნება პოლიეთილენის ნარჩენების დამაქუცმაცებელი წისქვილი და გრანულატორი, რომელთა თითეულის წარმადობა იქნება 30 კგ/სთ-ში.

საწარმოში ასევე გაგრძელდება პირველადი პოლიეთილენის გრანულებიდან პოლიეთილენის ფირებისა წარმოება და აღნიშნული პროდუქციის წარმოებისას წარმოქმნილი წუნდებული პროდუქციის (დაახლოებით 15 %) ხელახალი გადამუშავება, რომლისთვისაც დაიგეგმა წისქვილისა და გრანულატორის მონტაჟი.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში დაიგეგმა (რომელიც დღეისობით მუშაობს მხოლოდ პირველად შემოტანილ გრანულებზე და წარმოების პროცესში წარმოქმნილი წუნდებული პროდუქციის გადამუშავებაზე) ასევე პოლიეთილენის ნარჩენების ბაზაზე (კოდებით: 07 02 13; 123 01 05; 15 01 02; 16 01 19; 17 02 03; 19 12 04; 20 01 39) პოლიეთილენის ფირების

წარმოება, რომლებიც გაიყიდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ერთწლიანი კულტურების მოყვანისათვის მიწაზე დასაფენად, რომელიც ხელს უშლის სარეველა ბალახების ამოსვლას, ასევე უნარჩუნებს ნიადაგს სინოტივეს.

როგორც პირველადი გრანულებზე, ასევე შემოტანილი პოლიეთილენის ნარჩენების ბაზაზე იგეგმება **პოლიეთილენის ფირებისა წარმოება, რომლის წლიური წარმადობაა ტოლი იქნება 104 ტონის, 50 კგ/სთ-ში, საიდანაც 62.4 ტონა იქნება პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებით, ხოლო 41.6 ტონა პირველადი პოლიეთილების გრანულებიდან მიღებული.**

აღნიშნული პროდუქციის გამოშვებისათვის საწარმოში იგეგმება შემდეგი დასახელების და სიმძლავრის დანადგარები:

1. ცელოფნის გასაბერი დანადგარი – წარმადობა 50 კგ/სთ-ში (არსებული);
2. ცელოფნის ნარჩენების დამაქუცმაცებელი დანადგარი - წარმადობა 30 კგ/სთ-ში (დაგეგმილი);
3. მეორადი გადამუშავების გრანულატორი – წარმადობა 30 კგ/სთ-ში (დაგეგმილი);

საწარმოო არსებული პროცესი დაგეგმილია შემდეგი ძირითადი ოპერაციებით:

- შემოტანილი და საწარმოში წარმოქმნილი პოლიეთილენის ფირების გადამუშავება, მისგან გრანულების მიღება

- პირველადი და ასევე საწარმოში წუნდებული სახით წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავებული გრანულებისაგან პოლიეთილენის ფირის დამზადება;

- მზა პროდუქციის დაფასოება;

- მზა პროდუქციის შეფუთვა.

პოლიეთილენის ფირის დამზადება ხდება ამომყვან მანქანებზე, ე.წ. ექსტრუდერებზე (იხ. დანართში სურათი1), რომლის მიმღებ ბუნკერში იყრება შესაბამისად პოლიეთილენის გრანულები. ბუნკერიდან გრანულები მიეწოდება ფირების დასამზადებელ ექსტრუდერს, სადაც ის ელექტროენერგიის ხარჯზე ხურდება 160 – 170 გრადუსამდე, ხდება ერთგვაროვანი ბლანტი და შემდგო გაბერვით ღებულობს ცელოფნის ფირის ფორმას, ცივდება ბუნებრივად და მიიღება სასურველი სისქისა და სიგანის პოლიეთილენის ფირი. დამზადებული ფირი ეხვევა 30-50 კგ. რულონებად.

წარმოების პროცესში წარმოქმნილი პოლიეთილენის ნარჩენები ექვემდებარება გადამუშავებას (იხ. დანართში სურათი2), ხდება მათი რეგენერირება და მეორადი ნედლეულის სახით უბრუნდება წარმოებას, რისთვისაც დაიგეგმა მეორადი გადამუშავებისათვის საჭირო წისქვილი და გრანულატორი.

საწარმოში დამატებით დაიგეგმა მეორადი შემოტანილი პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავება, კერძოდ წისქვილებში მათი დაქუცმაცების შემდეგ გრანულატორში მათი გატარებით მათ გრანულირება.

საწარმოში წელიწადში 104 ტონა პროდუქციის მისაღებად პირველადი გრანულების სახით გამოყენებული იქნება 41.6 ტონა პოლიეთილენის გრანულები და 62.4 ტონა შემოტანილი და საწარმოში წარმოქმნილი წუნდებული პროდუქციის სახით წარმოქმნილი პოლიეთილენის ნარჩენები.

პოლიეთილენის ნარჩენები გადარჩევის შემდეგ იყრება დამაქუცმაცებელ წისქვილში, სადაც ის ელექტროენერგიის ხარჯზე წისქვილსში დამონტაჟებული ლითონის დანების საშუალებით ქუცმაცდება და გროვდება ბუნკერში. ბუნკერიდან დაქუცმაცებული პოლიეთილენის მასა მიეწოდება გრანულატორს, სადაც ის ცხელდება ელექტროენერგიის ხარჯზე, ხდება ერთგვაროვანი და წნევით გამოდის ექსტრუდერიდან, სადაც იჭრება გრანულებად და წივდება წყლით, რომელის ჩასხმულია გრანულატორის ავზში.

ტერიტორიაზე მოწყობილია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა სისტემა.

წყლის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან (ქ. ქობულეთის წყალმომარაგების სისტემა). რაც შეეხება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებულ წყალს, მისთვის გააჩნია ბეტონის ამოსაწმენდი ორმო.

საწარმოში დაგეგმილ დანადგარში, კერძოდ გრანულატორებში გამოშვებული პროდუქციის გაციებისათვის მოწყობილია წყლის მბრუნავი სისტემა, რომლის სისტემაში 0.4 $მ^3$ წყალია და დღეში დანაკარგების შევსებისათვის, რომელიც ორთქლის სახით გამოიყოფა ატმოსფეროში, ესაჭიროვება 10 ლიტრი წყალი, ანუ წელიწადში 2.6 $მ^3$ წყალი. სულ წყლის ხარჯი საწარმოო მიზნებისათვის ტოლია 3 $მ^3$/წელ-ში.

საწარმოში წყალი ასევე გამოყენებული იქნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. იქიდან გამომდინარე რომ საწარმოში დასაქმებული იქნება 3 ადამიანი, მისი წლიური ხარჯი არ აღემატება 35.1 $მ^3$-ს. აღნიშნული წყლები ჩაშვებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორმოში, რომლის გატანა ხორციელდება პერიოდულად საჭიროებისამებრ.

რადგან საწარმო მთლიანად განთავსებულია ზემოდან დახურული ანგარის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი საწარმოო პროცესში რაიმე მავნე ნივთიერებებით არ არსებობს. აღნიშნული წყლები მოხვდებიან სანიაღვრე არხში, რომელიც გადის გზის პირას.

საამქრო საქართველოში მომქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით აღიჭურვება ცეცხლმაქრებით და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებისათვის დადგმულია ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად. საწოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება შესაბამის ურნებში და მათი გატანა განხორციელდება ქ. ქობულეთის შესაბამისი სამსახურის მიერ.

ხოლო რაც შეხება სხვა სახის ნარჩენებს, როგორც სახიფათო (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები) და ასევე არასახიფათო ნარჩენებს, ისინი კანონმდებლობის სრული დაცვით განთავსდება შესაბამის ურნებში, დროებით დასაწყოვდება და შემდგომში მართვისათვის გადაეწემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს.

რაც შეეხება საწარმოო პროცესში წუნდებული პროდუქციის სახით წარმოქმნილ ნარჩენებს, ისინი შესაბამისად გადამუშავების შემდეგ გამოყენებული იქნება ნედლეულის სახით და გადამუშავებით მიიღება გრანულები, რომლისაგან შემდგომ იწარმოება პროდუქცია.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: პოლიმერული მტვერი, ძმარმჟავა და ნახშირჟანგი.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

| მავნე ნივთიერების დასახელება | კოდი | ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ$^3$ | | საშიშროების კლასი |
|---|---|---|---|---|
| | | მაქსიმალური ერთჯერადი | საშუალო დღე-ღამური | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| პოლიმერული მტვერი | 988 | 0.1 | - | 3 |
| ძმარმჟავა | 1555 | 0.2 | 0.06 | 3 |
| ნახშირჟანგი | 337 | 5.0 | 3.0 | 4 |

საწარმოში შემოტანილი პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავების შედეგად მავნე ვივთიერებების გაფრქვევების სახეობებს ემატება მხოლოდ პოლიმერული მტვრის გაფრქვევა, რომელიც წარმოიქმნება დამაქუცმაცებელ წისქვილში, რომლის რაოდენობა 0.7 გრამი კილოგრამ ნედლეულზე.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან საწარმოო პროცესში არ იგეგმება მაღალი ხმაურის წარმომქნელი დანადგარების მონტაჟი. რაც შეეხება საწარმოში გამოყენებული დანადგარებიდან ყველაზე მაღალი ხმაურის წარმომქმნელი დანადგარებია ნარჩენების დამაქუცმაცებელი დანადგარები, რომელთათვის თითეულის ხმაურის დონე არ აღემატება 70 დეციბელს. ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული დანადგარები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, აქედან გამომდინარე ხმაურის დონე უმნიშვნელო იქნება როგორც შენობის გარე პერიმეტრზე, ასევე მი უმეტეს უახლოეს დასახლებულ პუნქტზე.

საწარმოო ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს ფიქსირდება ქ. ქობულეთის დამახასიათებელი მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა ისეთი სახეობები, რომლების საჭიროებენ სპეციალურ დაცვას.

საწარმოო პროცესები მიმდინარეობს დახურულ შენობაში, რომლის იატაკი მობეტონებულია. აქედან გამომდინარე ბუნებრივია როგორც ნიადაგის ასევე გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, რომელსაც პოლიეთილენის ფირებისა წარმოებისათვის გააჩნია შესაბამისი გამობერვითი დანადგარ, ასევე წუნდებული პროდუქციის და შემოტანილი პოლიმერული ნარჩენების გადამუშავებისათვის გამოყენებული დანადგარები, რომლებიც განთავსებული იქნება არსებულ შენობაში, აქედან გამომდინარე რაიმე სახის მიწის სამუშაოების ჩატარება არ იგეგმება და ბუნებრივია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მით უმეტეს მათი დაზიანება პრაქტიკულად არ იქნება.

საწარმოში ძირითადად დასაქმებულია ოჯახის წევრები (3 ადამიანი), ასევე ნარჩენების გადამუშავებისას ახალი კადრების დამატება პრაქტიკულად არ იქნება, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე საწარმოს მაშტაბებიდან და დაცილებიდან გამომდინარე არავითარი ზეგავლენა არ ექნება

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მომავალში რაიმე სახით მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საწარმოს ფუნქციონირებისას ბუნებრივი რესურსების სახით გამოყენებულია მხოლოდ წყალი, სხვა სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის უშუალო სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის საწარმო არ არის.

საწარმოს ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა, რომლის დროს აუცილებელია მათი გაჩერება და დაზიანების არმოფხვრა. ასევე ავარიის სახით სახით მოსალოდნელია ცეცხლის გაჩენა, რომლისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით სახანძრო უსაფრთხოებიშ მიზნით.

საწარმოო დანადგარებზე მომუშავე პერსპონალისათვის დაცული იქნება მათი უსაფრთხოებისათვის ყველა ზომა, ასევე მათ ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქციები მათი უსაფრთხოების დაცვისათვის. საწარმოო შენობაში განთავსებული იქნება მედიკამენტებისა და სამედიცინო აღჭურვილობის ყუთები რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში მათი გამოყენების მიზნით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ინდივიდუალური მეწარმე “ირაკლი ტყებუჩავა”-ს მიერ დაგეგმილი პოლიეთილენის ნარჩენებისაგან და პირველადი გრანულებისაგან ფირებისა წარმოებასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

ირაკლი ტყებუჩავა
ინდ. მეწარმე

დანართი 1. საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო ნახაზები საწარმოს განთავსების შენობის მიხევით

## საკადასტრო გეგმა

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| საკადასტრო კოდი: | **20.42.07.330** | ნაკვეთის დანიშნულება: | **სასოფლო-სამეურნეო** |
| განცხადების ნომერი: | **892018105055** | ფართობი: | **456 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**<br>**455 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)** |
| მომზადების თარიღი: | **13/02/2018** | | |




კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 37N

მასშტაბი 1:200

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05/25 | მშენებარე ნაგებობა | 05/25 | შენობა/ნაგებობა | | ტყის ფონდი |
| | ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | | ხაზობრივი ნაგებობა | | ეელფუბეფეფება |

დანართი 2. საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა.



სურათი 1. პოლიეთილენის ფირის ამომყვანი ექსტრუდერი

სურათი 2. საწარმოში წარმოქმნილი წუნდებული ფირები